საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

28/12/2022

N 2192

2192-09-02-11-3-202212281357

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, გეგზავნებათ პეტიცია - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში არაფორმარული განათლების მულტიფუნქციური ცენტრების ამოქმედებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებითი სოციალური სივრცეების შექმნის შესახებ“ (N09-02-13-ვ/945, 21.11.2022 წელი, პეტიციის ავტორი: გვანცა ვარშანიძე) თანდართულ მასალებთან ერთად.

დანართი: 2 (ორი) PDF ფაილი.

პატივისცემით,

09-01-08/40
11.01.2023
12. ფურცელი

დავით გაბაიძე

თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

27/12/2022
N 2168

2168-09-02-11-3-202212271204

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, 2022 წლის 21 ნოემბერს, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლის შესაბამისად, შემოვიდა ელექტრონული პეტიციის განაცხადი - **„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში არაფორმარული განათლების მულტიფუნქციური ცენტრების ამოქმედებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებითი სოციალური სივრცეების შექმნის შესახებ“** (09-02-13-ვ/945, 21.11.2022 წ. პეტიციის ავტორი: გვანცა ვარშანიძე). წარმოდგენილი პეტიცია, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე, 2022 წლის 24 ნოემბერს, მხარდამჭერების შეგროვების მიზნით (არანაკლებ 200 მხარდამჭერი), გამოქვეყნდა ვებპლატფორმაზე - chaerte.sca.ge.

2022 წლის 24 დეკემბერს, ხელმოწერების შესაგროვებლად რეგლამენტით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა ამოიწურა. პეტიციამ ამ პერიოდში დააგროვა 203 ხელმოწერა.

გიგზავნით ზემოთაღნიშნულ პეტიციას, უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნას და პლატფორმა chaerte.sca.ge-ს საშუალებით შეგროვებული მხარდამჭერების სიას შემდგომი რეაგირებისთვის.

დანართი „10„ ფურცელი

ზურაბ ჭურკვეიძე

აპარატის უფროსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - მიმდინარე პეტიცია

ავტორის სახელი: გვანცა

ავტორის გვარი: ვარშანიძე

ავტორის სახელი ბარათიდან: Gvantsa

ავტორის გვარი ბარათიდან: Varshanidze

ავტორის პირადი ნომერი ბარათიდან: [redacted]

ავტორის მობილური: [redacted]

ავტორის ელფოსტა: [redacted]

პეტიციის სათაური: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში არაფორმალური განათლების მულტიფუნქციური ცენტრების ამოქმედებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებითი სოციალური სივრცეების შექმნა

პეტიციის შინაარსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში მოქმედი საჯარო ბიბლიოთეკები, კულტურის ცენტრები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები სრულად ვერ ფარავს არსებულ მოთხოვნებს და არც აქვთ რესურსი, დაფარონ უფრო დიდი გეოგრაფიული არეალი, არ ფუნქციონირებს მუნიციპალური კინოთეატრები, ქალაქებში პრაქტიკულად არ გვაქვს სივრცეები, სადაც სხვადასხვა თაობის მოქალაქეები შეძლებენ შეხვედრას და საერთო აქტივობების ჩატარებას, რომელიც ხელს შეუწყობს განსხვავებული ინტერესების შეჯერებას, საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად საერთო ინიციატივების შემუშავებას, დისკუსიას, ახალი ცოდნის მიღებას და გაზიარებას. მაგალითად, ა(ა)იპ "ახალგაზრდულმა ჰორიზონტმა" ქობულეთში, 2020-2021 წელს ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ კვლევა ჩაატარა, რამაც ნათლად გამოკვეთა ისეთი სივრცის საჭიროება, სადაც ახალგაზრდები თავისუფლად შეძლებდნენ შეკრებას, სხვადასხვა საკითხზე დისკუსიას, ფილმების განხილვას, ერთობლივი ინიციატივების შემუშავებას საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებთან ერთად მათი მხარდაჭერისა და ინტეგრირებისთვის. ასეთ ჯგუფებში, უპირველეს ყოვლისა, საპენსიო ასაკის ადამიანებსა და შშმ პირებს განვიხილავთ, რომელთაც ნაკლებად მიუწვდებათ ხელი რეკრეაციაზე, ურთიერთობაზე სხვა ასაკის ფართო აუდიტორიასთან და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობაზე. მაგალითისთვის ქობულეთში უკვე დახურულ ორგანიზაცია „ღირსეულ სიბერეს" დავასახელებ - ეს ორგანიზაცია წლების განმავლობაში ცდილობდა საპენსიო ასაკის ადამიანებისთვის სხვადასხვა აქტივობა შეეთავაზებინა, ჩაერთო სამოქალაქო ინიციატივებში, თუმცა მწირი დაფინანსებისა და სივრცის არასებობის გამო დღეს „ღირსეული სიბერე" აღარ ფუნქციონირებს.

არაფორმალური განათლების მულტიფუნქციური ცენტრების დანიშნულება იქნება ერთგვარად დააკმაყოფილოს ზემოდასახელებული საჭიროებები; მუნიციპალიტეტებში გაჩნდეს თანამედროვე სივრცეები, რომელთა მიზანი მოქალაქეებისთვის ახალი სერვისების მიწოდება, მოქალაქეთა ჩართულობის ორგანიზება და სხვადასხვა თაობის ადამიანთა ურთიერთკავშირის შესაძლებლობის გაჩენა იქნება.

არაფორმალური განათლების ცენტრები ქვემოთ დასახელებული ფაქტორებით განაპირობებს ჩამოთვლილი მიზნების მიღწევას:

არაფორმალური განათლების ცენტრებში მოეწყობა კინოჩვენებებისთვის განკუთვნილი სივრცე. სივრცის მოწყობაში სრულყოფილი კინოთეატრის აღჭურვას არ მოვიაზრებთ ძვირადღირებული ტექნიკით, განათებით, პროფესიული ჩვენებებისთვის განკუთვნილი ეკრანითა და გახმოვანების აპარატურით, არამედ საშუალობიუჯეტიან დანახარჯებს, რომელიც გაწვდება ეკრანს, აუდიტორიისთვის განკუთვნილ სკამებს, ხმის გაძლიერების სისტემას და მინიმალურ განათებას. ამ სივრცემ ერთგვარად მუნიციპალური კინოთეატრის ფუნქცია უნდა შეითავსოს, ფილმებს კი საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დახმარებით პერიოდულად აჩვენებენ უფასოდ ან მინიმალური საფასურით.

ცენტრში იმოქმედებს პროგრამირების, გრაფიკული დიზაინის და სხვა თანამედროვე მიმართულების სასწავლო კურსები გარკვეული პერიოდულობით. ბაზარზე გაჩენილი მზარდი მოთხოვნების შესაბამისად, ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება სავალდებულოდ მიგვაჩნია ბათუმის ტექნოპარკთან თანამშრომლობით, კურსდამთავრებულებს კი აჭარის დასაქმების სააგენტოს მეშვეობით მიეწოდებათ ინფორმაცია ამ სფეროში რეგიონში არსებულ ვაკანსიებზე;

ზემოჩამოთვლილი ამოცანების გარდა, არაფორმალური განათლების ცენტრებში ინტენსიურად გაიმართება შეხვედრები მუნიციპალურ, რეგიონულ და სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებზე - ეს იქნება მერთან,

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის კანონიერებისა და ეფექტურობის კონტროლის სამსახური
საქმისწარმოების მმართველება
შემოსული № 09-02-13-3/945
21 07 2022 წ.

საკრებულოს წევრებთან საქმიანი კომუნიკაცია თუ შემეცნებითი, კულტურულ-საგანმანათლებლო შეხვედრები. არაფორმალური განათლების ცენტრები უნდა გახდეს სხვადასხვა პროფესიის, ასაკისა და ინტერესის მქონე ადამიანებისთვის ერთნაირად ხელმისაწვდომი სივრცე თვითორგანიზებისა და ინიციატივების განხილვისთვის. 2023 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში, ჩვენი პეტიციის დაკმაყოფილების შემთხვევაში, დაიწყება არაფორმალური ცენტრების ასაშენებლად საპროექტო წინადადებების მომზადება - უპირველესად, გასარკვევი იქნება, რომელ მუნიციპალიტეტში უნდა აშენდეს ახალი ნაგებობა და სად შეიძლება უკვე არსებული (მუნიციპალიტეტის ან ავტონომიის ბალანსზე არსებული) შენობების რეაბილიტაცია ცენტრის მოსაწყობად. პეტიციაში განხილული თემები, შესაძლოა, მივიჩნიოთ იდეის სამუშაო ვერსიად და თუ აჭარის განათლებისა და კულტურის სამინისტრო გამოაცხადებს ტენდერს ცენტრების კონცეფციის შექმნაზე, ეს დაინტერესებულ ჯგუფებს საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობებს მისცემს. ასევე, დასაშვებია, რომ ტენდერის ნაცვლად, კონცეფციის წარდგენაზე სამინისტრომ კონკურსი გამოაცხადოს და კომპეტენტურმა კომისიამ საუკეთესო შეარჩიოს. ცხადია, როცა ვსაუბრობთ ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობაზე ან ძველის რეაბილიტაციაზე არაფორმალური განათლების ცენტრების გახსნისთვის, აუცილებლად ვითვალისწინებთ შშმ პირთათვის ყველა აუცილებელი საშუალების მოწყობას ცენტრებით სარგებლობისთვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სახელით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ სამოქალაქო საბჭოებთან ერთად, პეტიციის სახით წარმოგიდგენთ არაფორმალური განათლების მულტიფუნქციური ცენტრების გახსნისა და ამოქმედების ინიციატივას - დარწმუნებულები ვართ, რომ ეს სიახლე ჩვენი რეგიონის მოსახლეობისთვის სასარგებლო ინიციატივაა, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სასიკეთო ცვლილების განხორციელებას.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

21/11/2022
N 1902

1902-09-02-11-3-202211211625

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში არაფორმარული განათლების მულტიფუნქციური ცენტრების ამოქმედებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებითი სოციალური სივრცეების შექმნის შესახებ“ პეტიციის თაობაზე
(09-02-13-ვ/945, 21.11.2022 წ. პეტიციის ავტორი:გვანცა ვარშანიძე)

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში არაფორმარული განათლების მულტიფუნქციური ცენტრების ამოქმედებისა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებითი სოციალური სივრცეებისშექმნის შესახებ“ მოქალაქე გვანცა ვარშანიძის 2011 წლის 21 ნოემბრის N 09-02-13-ვ/945 პეტიცია.

წარმოდგენილი პეტიციის შინაარსი შეესაბამება პეტიციის წარდგენის მიმართ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140^1 მუხლითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებულ „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესით“ დადგენილ

მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მხარდამჭერთა შეგროვების მიზნით მისი გამოქვეყნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე



დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი